№ 97 მაისი 12, ხუთშაბათი 1888 მაისი 12, ხუთშაბათი № 97

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისის თეატრი

კვირას, 15 მაისს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად:

ციმბირელი

კომედია 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა

მოთამაშენი: ქქ. საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბბ. კ. ყიფიანი, აბაშიძე, თვითონ ავტორი მესხისა, კავთელი, ივ. ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ანტრაქტებში გაჩაღებული იქნება ბაღი, სადაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

რადგან ამ თეატრში გალლერეა მცირეა, ადგილების ფასი სკამების უკანასკნელს რიგებში გაიაფებული იქნება.

წლიური საერთო კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის 20 მაისს, საღამოს 8 საათზე, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და წევრებისა.

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სასწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—1)

ტფილისი, 11 მაისი

მას აქეთ, რაც გერმანიის ტახტზე ავიდა იმპერატორი ფრიდრიხი, რომელიც შეებრძოლა ბისმარკის დაურიდებელსა და თავ-გასულს პოლიტიკას, ევროპას მშვიდობიანობის ნიავმა დაჰბერა და ცოტად თუ ბევრად მოასვენა ყველა, ვინც ომიანობის მოლოდინმა დაჰქანცა. მართლაც, ფრიდრიხის წინად საპოლიტიკო საქმე ისეთის ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ, რომ ყველანი დღე-დღეზე მოველოდით სახელმწიფოთა შეტაკებას, მაგრამ ავიდა თუ არა გერმანიის ტახტზე მოსარჩლე მშვიდობიანობისა და კონსტიტუციისა, იმ წამსვე ყველას ცოტაოდენი იმედი მაინც მიეცა, რომ სანამ ფრიდრიხი იქნება გერმანიის ბედ-იღბლის განმგებლად, თოფ-იარაღში ჩამსხდარი გერმანია მშვიდობიანობას არ დაარღვევსო. მართლაც და დროებით მაინც შესწყდა ლაპარაკი საერთო შეტაკების შესახებ, მაგრამ, როგორც ეხლა სჩანს, ესეთი იმედი მშვიდობიანობის მსურველთა და მოსარჩლეთა დღეგრძელი არ არის, იმიტომრომ ის ისტორიული ნასკვი, რომელიც უნდა გაეხსნა ან გაეპო ბისმარკს, დიდის ხნის გამონასკვული არის და ყველანი იმას მოელიან, რომ ადრე თუ გვიან გერმანიის მეთაურობა წილად ჰხვდება მხედრობის მოსარჩლე მემკვიდრეს ფრიდრიხისას და გერმანიის განმგებლობა ხელში ჩაუვარდება თავ. ბისმარკსაო.

ამ ორიოდე თვის განმავლობაში მთელი ევროპა თვალ-ყურს ადევნებს ფრიდრიხის ავადმყოფობას, რადგანაც იცის, რომ იმის ავადმყოფობაზეა დამოკიდებული ევროპის დღევანდელი მშვიდობიანობა. ყველასა სწამს, რომ თუ არ ფრიდრიხი, მშვიდობიანობაზე ლაპარაკი უქმი იქნებოდა... ამ ხნის განმავლობაში, ცოტათი არ იყოს, შემცირდა პირველი შთაბეჭდილება სამშვიდობო იმედისა და ევროპის მწერლობამ ისევ ხმა-მაღლა დაიწყო ლაპარაკი საომრად მზადების თაობაზე. უცხოელი გაზეთები ამბობენ, რომ ესა და ეს სახელმწიფო ამზადებს თოფ-იარაღს და ჯარებსა, რათა თავისი პოლიტიკური წადილი შეისრულოსო და პირისპირ შეხვდეს ყოველნაირს განსაცდელსაო. ინგლისში დიდი ლაპარაკი აქვსთ ჯარების შევსებისა და შეთოფ-იარაღების შესახებ; გაიძახიან, რომ ინგლისის სამხედრო ძალ-ღონე იმდენად უძლური და მოუმზადებელია, რომ თვით ლონდონის დაცვაც გასჭირდება; თუ ვინიცობაა საქმე ომიანობამდე მივიდაო. ამიტომაც შესაფერი კანონპროექტია შეტანილი ინგლისის პარლამენტში. გერმანია ხომ მუდამ მზად არის საომრად, იმისი სამხედრო ძალ-ღონე ამ თექვსმეტიოდე წელიწადში თან-და-თან წარმატებაში შედის, და რა თქმა უნდა, რომ ყოველს შემთხვევას პირ-ნათლად მიეგებება. ავსტრიასაც არ შეუწყვეტია საომრად მზადება და ჯარები გადაჰყავს-გადმოჰყავს. ეხლა ვნახოთ, რას სჩადიან პატარ-პატარა სახელმწიფოები. სერბიას განზრახვა აქვს ჯარების მობილიზაცია მოახდინოს. როგორც ამბობენ, სერბიასა, რუმინიასა და ბოლგარიას შორის მორიგება არსებობს იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა. აგრეთვე ისიც ვიცით, რომ ბალკანის სლავიანთა სახელმწიფოებში მუშაობს უცხო გავლენა. ერთის სიტყვით, ყველგან დიდი მზადებაა. რასაკვირველია, ამ გარემოებათა შემხედვარეს რუსეთს არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს თავისი ძალ-ღონე, მით უფრო, რომ უცხოელი მწერლობა ამბობს, ვითომ რუსეთს განზრახვა აქვს ვისმე შეემუქლავოს, თუმცა რუსეთმა უკვე დაამტკიცა, რომ ომიანობა იმისათვის საჭირო არ არის და მშვიდობიანობა უსაჭიროესი სახსარია საკუთარის ძლიერების შესამატებლად და წარსამატებლად. მართლაც, რუსეთს რომ ომი უნდოდეს, დიდი ხანია შეეძლო ბრძოლის ველზე გამოსულიყო. საბაბი ომიანობისა ხომ დიდი ხანია არსებობს, თუნდაც იგივე ბოლგარია აიღეთ, რომლის მდგომარეობას ყოველთვის შეუძლიან სახელმწიფოები შეაბრძოლოს.

ყოველივე ზემოთ მოხსენებული იმის საბუთია, რომ დღევანდელი მშვიდობიანობა მხოლოდ დროებითია, რომ საპოლიტიკო საქმე უწინდებურად იწარმოებს, რაკი გერმანიის მდგომარეობა შეიცვლება.

ახალი ამბავი

⁂ დაიწყო ახალი „ბუნების კარის“ მეშვიდე გამოცემის ბეჭდვა. წიგნი იბეჭდება უცვლელად და სწავლულთა კომიტეტის გარდაწყვეტილების ზედ-წარწერით ამ სახელმძღვანელოს შესახებ. ერთის თვის შემდეგ დაიწყება ახალი, მეშვიდევე გამოცემა „დედა ენისა“. ეს წიგნი-კი დაიბეჭდება ბევრის ცვლილებით და იქნება შევსებული ახალის მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. მოთხრობები სულ ორიგინალურია, დაწერილია თვით ავტორისაგან, ლექსები-კი ხალხურია. ახალი გამოცემა «დედაენისა» უწინდელზედ მომეტებული იქმნება მთელის ფორმით და ფასი-კი ისევ იგივე დარჩება.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან. შემდგენელს განუზრახავს ის ნაკლი შეავსოს, რომელიც ყველა წინანდელს ქართულს გრამატიკებში მოიპოვება; ამ აზრით ავტორს თავისს გრამატიკაში ჩაურთავს სინტაქსისი, რომელიც ჩვენის გრამატიკოსების მიერ ძალიან ნაკლებად არის გამოკვლეული. წიგნი დაბეჭდილია ბ-ნის ჩარკვიანის სტამბაში და ღირს ორი აბაზი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული დრამატიული საზოგადოება გამართავს ერთს წარმოდგენას 15-ს ამ თვისას სახელმწიფო თეატრში, რომელიც მთავარ-მმართებლის განკარგულებით გარდაეცა ახლად დაარსებულს არტისტების საზოგადოებას, და ორსაც ბანკის თეატრში.

⁂ დღეს ბანკის თეატრში წარმოადგენენ ფეერიას «ძენი კაპიტანის გრანტისა». ამ ფეერიისათვის ახალი დეკორაციები დაუმზადებიათ. სხვათა

ფელეტონი

სალოდავი

(ვუძღვნი კ. ტ. ა—ს)

(მოთხრობა)

(დასასრული *)

VI

გავიდა სამი წელიწადი და ამოდენა ხნის განმავლობაშიაც აღარაფერი ამბავი შეუტყვიათ ეკასი. აღარც ივანე პეტრეს ძე გაჭაჭანებულა მერე აქეთკენ. ამ რამდენიმე თვის წინად ბატონი-კი იყო ქუთაისში და ჩამოიტანა ამბავი, რომ ივანე პეტრეს ძე იქ აღარ არის, რუსეთში გადუყვანიათო.

— ეკა სადღა არისო?—იკითხა უბედურმა დედამ ეკასამ.

— არ ვიცი, შეიძლება ჩემი ნათლულიც თან წაიყვანაო,—მიუგო ბატონმა.

როგორ თუ შეიძლება? განა უპატრონოდ დააგდებდა აქაო? ჰფიქრობდა საბრალო დედა და პასუხის მიმცემი-კი არავინ იყო.

— თუ გაათხოვა—კარგი, თუ თვითონ წაიყვანა—ესეც კარგიო, მაგრამ თუ ქუთაისში დააგდო უპატრონოდა?—ამბობდა სალოდავი. საკვირველია, განა იმისათვის სულ ერთი არ იყო,—ეკა რუსეთში იქნებოდა, თუ სხვაგან სადმე გათხოვილი? იმისთვის ხომ მაინც დაკარგული იყო და რა ენაღვლებოდა, თუნდ ქუთაისშიაც ყოფილიყო უპატრონოდ? მაგრამ არა, შვილის უპატრონობაც ასე ადვილი ასატანი არ იყო დედისათვის.

საბრალო დედა!.. ისეც ბევრი უბედურება გადახდა ამ სამის წლის განმავლობაში და ეხლა კიდევ ეს ახალი ჯავრი მიემატა! თუმცა წვრილი შვილები არ დარჩენია, მაგრამ მთელი ეს დრო საშინელს გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო. შვიდი შვილი გაზარდა თავისს სიცოცხლეში, მაგრამ იმათი გაზრდა არც-კი შეუტყვია. ეხლა-კი დღე მუდამ ტირილი, დღე მუდამ ვაება იყო იმას თავზედ. ჯერ ხომ სიქვრივე, იმისთანა თან შებერებულის ქმრის დაკარგვა, მერე ეკას მოშორება, რომლისათვისაც ქმრის სიკვდილის შემდეგ სულ აწუხებდა სინიდისი, თავის თავს რაცხდა დანაშაულად როგორც შვილის ასე დაკარგვასა, ისე ქმრის სიკვდილში.

ამ გვარად უბედურს ესეც ეყოფოდა, მაგრამ დალოცვილმა ღმერთმა არ დააჯერა. მოუკვდა თუ არა ქმარი, დაირღვა იმისი ოჯახი: შვილებს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ და ადგილების გაყოფას მიჰყვეს ხელი. ბევრს ეხვეწა უბედური დედა, რომ გასაყოფი არაფერი გაქვსთ, მოითმინეთ, ნუ გამიმწარებთ ისედაც მწარე სიცოცხლესაო, მაგრამ ვინ დაუჯერა? მაინც და მაინც უნდა გავიყარნეთო, და გაიყარნენ. უფროსმა ძმებმა ცოლებიც შეირთეს და ცალკე დაესახლნენ. დედა და დები-კი უმცროსს ძმასთან დარჩნენ.

სალოდავი სანახავი იყო ეხლა ეს ისედაც პატარა ეზო, რომელიც სამად იყო გაჭრილი და სამი ფაცხა იდგა შიგ. ბოლოს, როგორც იყო, უფროსი და გათხოვდა, უმცროსები-კი მონოზნად შედგნენ. შუათანა მონასტერში წავიდა და უმცროსი-კი სოფლის ეკკლესიის გალავანში დაბინავდა. ამნაირად სულ მარტოკა დარჩა საბრალო დედა და რის ვაითა და ყოფით მიათრევდა თავის გაძაღლებულს სიცოცხლეს. ეხლა კიდევ ეკას ამბავი წამოეწია და სულ შეუწუხდა უბედურს გული. არ იცოდა, რა ექნა, და ღმერთს შესთხოვდა, მიებარებინა იმისი სული. „მე რად გადურჩი ჩემს ქმარსო“,—ამბობდა ხოლმე ხშირად საწყალი:—„რატომ მეც იმასთან არ მოვკვდიო.“ და კაცმა რომ სთქვას, მართალიც იყო. მაინც აღარც შორს იყო ეს წამი, დღეები დათვლილი ჰქონდა. ეს ერთი თვეა, სულ ავადმყოფი იყო და მხოლოდ გულით უნდოდა, თუ ვერ ჰნახავდა, ამბავი მაინც შეეტყო ეკასი. «ღმერთო, ამას მაინც ნუ ჩამატან საფლავში ჯავრადაო»,—ამბობდა, და ღმერთმაც ეს ერთი თხოვნა მაინც შეუსმინა.

—

ერთს დილაზედ მთელმა სოფელმა დაიწყო ლაპარაკი—ეკა მოსულა, ეკაო! ეს ამბავი ზოგს სასიამოვნოდ დარჩა, ზოგს არაფრად ეპაშნიკა, რადგანაც სოფელში კარგა ხანია ცუდი ხმები დადიოდა ეკაზედ, თუმცა დედამისს-კი არაფერს ეუბნებოდნენ. ყველამ ეჭვი აიღო ივანე პეტრეს ძეს ქვეყანაზედ და, რასაკვირველია, უკანასკნელის ამბის შემდეგ სულ ქვესკნელში ჩამარხეს უბედური ეკა. რაც უნდა იყოს, ეს ამბავი ყველას გაუკვირდა და ყველას უნდოდა ეკას ნახვა. ამასთანავე იმ დღესვე ხმა გავარდა, რომ ეკას დედა მოკვდაო, და ყველანი წავიდნენ ამ ამბის შესამოწმებლად. მართლაც წინა ღამეს მოსულიყო ეკა, როდესაც თურმე იმის დედას ენა ჩავარდნილი ჰქონდა, მაგრამ ცნობით-კი ეცნო თავისი შვილი და საშინლადაც გაჰხარებოდა, თუ კიდევ შეიძლებოდა იმის მდგომარეობაში გახარება.

—

დიდად ღარიბის ტირილის შემდეგ ეკას დედა დაასაფლავეს და ეხლა მარტო ეკაზედ იყო ყველგან ლაპარაკი. სალაპარაკო მართლაც ბევრი ჰქონდათ. ეს ეკა სრულიად აღარა ჰგავდა იმ ეკას, რომელიც სამის წლის წინად აქედამ წაიყვანეს: მშვენიერის ახალგაზრდა ქალიშვილის მაგიერ ეხლა იყო რაღაც ლანდი, რომლის დანახვაც კაცს, ნამეტურ სოფლის კაცს, ზიზღს მოჰგვრიდა. წარმოიდგინეთ წვრილი, მაღალი, უჩნო ჯოხი, რომელსაც ულაზათოდ აქვს შემოჯონჯღული სხვა-და-სხვა ფერი, სხვა-და-სხვა გვარი ფართლის აპუქნულ-დაპუქნული კაბა, თითქოს საფრთხობელაზედ ძველი ჭინჭები და ნაჭრები შემოუხვევიათო;

---

*) იხ. „ივერია“ №№ 91, 94 და 96.

შორის სცენაზედ წარმოდგენილი იქნება მიწის-ძვრა.

⁂ ტფილისის მაზრა იშვიათად ყოფილა მაისში ასე ამწვანებული, როგორც ეხლაა. მაისის გახშირებულმა წვიმებმა, რომლის მგზავსი მრავალი წელიწადია არავის უნახავს, მეტად გააკეთა თუ ყანები და თუ ბაღ-ვენახობა. კვლავინდებურად ამ დროს ტფილისის გარს გადამწვარი მთებიცკი ეხლა ამწვანებული მოსჩანს.

⁂ ამ ჟამად ტფილისში დაიწყო უკვე მზადება და ლაპარაკი მომავალ თავად-აზნაურთა მარშლების ამორჩევაზე, სადგილ-მამულო ბანკის კრებასა და თავად-აზნაურთა სკოლის ანგარიშებზე. თავად-აზნაურთა ნელნელა დაიწყეს ჩამოსვლა ქართლიდამ და კახეთიდამ.

⁂ ამ უკანასკნელს წლებში სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ ტფილისში. იმერეთიდამ გადმოსული ხელოსნები, მკერვალები, ოქრომჭედლები, დალაქები და რამდენიმე ვაჭარი კარგად მოეწყვნენ, ასე რომ ამ ჟამად კარგს სავაჭრო ადგილებშიაცკი თვალ-საჩინო დუქნები და მაღაზიები აქვსთ. ეს გვიმტკიცებს, რომ თუ ტფილისში გამჭრიახე და პირიანი ვაჭარი და ხელოსანი გაჩნდა, ცხოვრებაში ზომიერების მცოდნე, სარგებლობასა ჰნახავს.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ კავთიხევის სკოლას უდღესასწაულნია თავისის არსებობის ათის წლის იუბილეი. იუბილეიზე დიდ-ძალი ხალხი დასწრებია და რამდენიმე სიტყვა წარმოუთქვამთ სკოლის წინანდელ შეგირდებს. მასწავლებელს წაუკითხავს მოკლედ საზოგადოებისათვის სკოლის ისტორია. ამ ამბავს ყველა დამსწრეზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, დამსწრეთ ძალიან ჰსიამოვნებით იუბილეი, რომლის დაწვრილებითს აღწერას შემდეგში დავბეჭდავთ.

⁂ ქიზიყიდგან გვწერენ: ჩვენში მშვენიერი მოსავალია, როგორადაც წინა-მხარში, ეგრეთვე უკანა-მხარშიაც. ვენახებს მშვენივრად ასხია, თუმცა შიგა და შიგ ცოტათი საფერავი სტყუის. წინად გვალვამ ძლიერ შეაწუხა აქაური ჯეჯილები, მაგრამ აპრილის ოცდა-ექვსის რიცხვიდგან დაიწყო წვიმები და დღესაც არ შეწყვეტილა; ისეთი საშინელი ნიაღვრები იყო, რომ ბევრს ზარალიც მისცა. ამასთან ამ წვიმებს, საუბედუროდ, დაწყებისათანავე სეტყვა მოჰყვა და წაახდინა შემდეგი სოფლები: კოტანი, სულუკაანი, ოზაანი, პრასიაანი და ზევითი მხარე ხირსისა. კოტაანს, სულუკაანს და ოზაანს ცოტათი დაჰკრა სეტყვამ, მაგრამ პრასიაანი და განსაკუთრებით ხირსა ძლიერ დასეტყვა, ასე რომ, ვგონებთ, ორ წლამდის ვაზიც აღარ გამოდგება.

⁂ შორაპნის მაზრა: ჩვენ დაგვინიშნეს წელს ახალი მაზრის უფროსი, რომელმაც მოსვლისათანავე მიაქცია ყურადღება აქაურის გზების უვარგისობას; მართლაც, უნდა მოგახსენოთ, ეს მაზრა ჯერ ბუნებას დაუსჯია უგზოობით და მერმე ბუნებისათვის კაცსაც ხელი შეუწყვია. ეხლა-კი ახალის მაზრის უფროსის წყალობით ბლომად ახვევია გზებს მუშები. განკარგულება არის, რომ ყოველი გლეხი მამაკაცი, რომელსაც მუშაობა შეუძლიან, თვეში ერთს კვირას უნდა გზის სამუშაოდ გამოვიდეს, ასე რომ მარტო ხელი კაცი ყოველს თვეში თითო კვირას მუშაობს გზას და იმ ოჯახიდგან, რომელშიაც ოთხი მუშა კაცია, ერთი ნიადაგ გზაში რჩება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მუშები, იმის მაგიერ, რომ ყველასათვის საჭირო გზას მიაყენონ, შეუყვანიათ უდაბურს ტყეებში და აყვანინებენ გზებს, რომლებზედაც გარდა მონადირისა და ტყის მუშისა სულიერი არ მოხვდება; ამისთანა ადგილებია საწერეთლო მთები კავკასიის მთების კალთებზე, სადაც ამ ჟამად ამუშავებენ გლეხებსა. თუმცა ესეც კარგია, უმეტესად ტყის მეპატრონეთათვის, რომლებსაც შეშისა და ტყის სხვა-და სხვა მასალის ფასი მოემატებათ, მაგრამ, მგონი, უმჯობესი იქმნებოდა, ჯერ შეეკეთებინათ საქვეყნო გზები, სადაც კაცს ვერ გაუვლია, და მერე ტყეების პატრონებისათვის ეზრუნათ.

⁂ დ. თიანეთი: აქ ერთი ოქრომჭედელი ლეკია. ამ ლეკს შეუთვლია ქ. ტფილისში ერთის თავისის ნაცნობ ოქრომჭედელ ლეკისათვის, რომ აქ, თიანეთში, ვერცხლეულობას ძალიან კარგი ფასი აქვს, წამოიღე სხვა-და-სხვა დამზადებული ვერცხლის ნივთები და წამოდი თიანეთშიო. ლეკს გაჰხარებია ასეთი ამბავი, მეორე დღესვე შემჯდარა ცხენზედ, წამოუღია თან ორმოციოდე თუმნის ნივთები და გამომგზავრებულა თიანეთისკენ. ამ დროს მდინარე „შავი" იორი ადიდებული ყოფილა; შემოუგდია ცხენი აღშფოთებულს მდინარეში და ცხენი წაჰქცევია და თითონაც კინაღამ დამრჩვალა, ხურჯინი-კი ვერცხლეულობითურთ მთლად წყალს წაუღია. ბევრი ეძებეს მცურავეებმა, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა.

⁂ ერწოს-ხეობა: აგერ ეს ერთი კვირაა, რაც გზატკეცილს ადგია მთელი ერწოს-ხეობის ხალხი ურმებით და ქვიშას აყრიან საბადურის მთის აქეთა ყელეში. ეს ავდარიც საწყლებს თვალს არ უხელს და ერთს ტანჯვა-წამებაში არიან ურემ-ხარ-კამბეჩებით. მუშის ზედამხედველად არის ბ-ნი როსტომ ავალიანი, რომელიც ყოველს წელს, ზაფხულობით თუ შემოდგომობით, სულ ამ საქმეს ადგას, აკეთებინებს ყველა გზებს, მაგრამ რადგან საბადურის მთაში მიმავალის გზის ადგილი მეტად დაბალი და ფოტოროა, ამიტომ ეს გზა მალ-მალ იშლება და თხრილები ჩამოწოლილ მიწით ივსება.

⁂ იქიდამვე: 6-ს მაისს ერწოს-ხეობაში დილიდგან დაწყებული ვიდრე შუაღამემდის ისე განუწყვეტლივ სწვიმდა, რომ ერწოს-ხეობის მდინარე აძეძი მთლად აივსო წყლით და იმ სიმაღლე ხიდს ისე გადასდიოდა წყალი, რომ ცხენოსანიც ვერ გადიოდა გაღმა, რადგან ხიდი სულ მთლად წყლით იყო დაფარული და არა სჩანდა. თვით პატარა სოფლის მდინარეები და რუები ისე მოსკდნენ წყლით, რომ გასვლა დიდად შეუძლებელი იყო. სოფელ ამტნის-ხევის ნაკადულებიდგან გადასკდა წარღვნასავით წყალი და მთელი გამოღმა ერწოს-ხეობის ხევსურების ნათესს მინდვრებს მოედო, ისე რომ მუხლში მომავალი ყანები ძლივს-ღა მოსჩანდა. კიდევ კარგი, რომ არავინ დაიხრჩო. 1886 წელს, სწორედ ამ დროს, მდ. აძეძმა დაახრჩო სოფელს სვიმონიანთ-ხევში მცხოვრები გლეხი ლევერაშვილი.

⁂ იქიდამვე დადგა მაისი და ჩვენ გვეგონა აპრილივით უგემურობას არ დაიწყებდა და კარგს დარებს დაიჭერდა, მაგრამ მთელს ხეობაში შვიდი-რვა დღეა სულ სწვიმს.

⁂ „მშაკში" მოხსენებულია, რომ ამ ჟამად სომეხ საზოგადოებას აზრად აქვს ფული შეაგროვოს რაფფის საფლავზე ძეგლის დასადგმელადაო.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოთავეობით ამ გაზაფხულზევე ჰფიქრობენო, ამბობს გაზ. „Новое Время", იმერეთში ვარდის პლანტაციები გააშენონ ვარდის ზეთის სახდელადაო. აქამდე ეს ზეთი მოჰქონდათ ხოლმე რუსეთში საზღვარ-გარეთიდამ და ძალიან ძვირადაც ჯდებოდა. ბაქოში ვარდის პლანტაციებმა ძალიან იხეირეს და, იმედია, იმერეთშიაც დიდად იხეირებსო.

⁂ 11 მაისს ღამეს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ტფილისის მოქალაქე პეტრუზ მარქაროვის ღვინის სარდაფის გარეთა კლიტე გაუტეხიათ და გაუტანიათ 12 მან. ფულად, ხალიჩა და ტიკჭორა.

⁂ 10 მაისის ღამეს წვიმამ დიდ-ძალი ალაგი ქვებითა და ღორღებით აავსო, მთის ქუჩაზედ რამდენიმე ღობე და ძველ შენობათა კედელი დააქცია. ავლაბარში „ვანიუჩი ბალკაზედ" გადებული ფეხით სასიარულებელი ხიდი წაიღო და მიხეილისა, ავჭალისა და კიროჩნი ქუჩებზედ რამდენსამე ჯირგინას სახურავები ააგლიჯა. კონსულის ქუჩაზედ, პოლიციის მე-4 ნაწილში, ნიაღვარმა სატუსაღო ოთახები აავსო. არავითარიმე უბედურება არ მომხდარა.

⁂ 8 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, ტფილისის მოქალაქე თომა საიფოვის სახლის ჭერი ჩამოიქცა. შიგ მყოფთ გამოასწრეს. უბედურება არა მომხდარა რა.

⁂ 10 მაისის ღამეს, გათენებისას, პოლიციის მე-6 ნაწილში, ტფილისის გზატკეცილის საბაჟოს ლამპარი გასკდა და დაიწვა სტოლი, ბარათების წიგნი და ის ქაღალდები, რომელშიაც ეწერა, თუ ერთმა უფროსმა საბაჟოსამ მეორესგან როგორ ჩაიბარა და ან როგორ ჩააბარა საბაჟოს საქმეები. ცეცხლი შინაურის საშუალებით ჩააქრეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 10 მაისს ნემენცევის სასაფლაოს ახლო ჩამოიქცა ჭერი და კედელი ტფილისის მოქალაქის ქვრივის სალომე როსტომოვის სახლისა და ცოტაოდე ნივთეულობა მოიტანა ქვეშ.

რეუტის ქუჩაზედ დაიქცა კედელი ტფილისის მოქალაქის ბესარიონ ქართველიშვილის სახლისა.

ამავე ქუჩაზედ წყალმა შეარღვია რეალურ სასწავლებლის შენობის კედელი და სარდაფში შევარდა.

ნემენცევის სასაფლაოს გვერდზედვე ტფილისის მოქალაქის გრ. გოლელოვის სახლებში წყალი შევარდა და ოთახები პოლიციის ჯარის კაცის ბაბაიცევსა და სხვათა ერთს ადლამდე აავსო.

◆◆

უცხოეთი

ინგლისი. ამ ბოლოს დროს ინგლისში დიდი ლაპარაკი ასტეხეს, მზადა გვყავს თუ არა მხედრობა, ვინიცობაა შემთხვევა იყოს რამე, შევიძლებთ, თავი დავიცვათ, არ შევრცხვეთ; გვეყოფა ან თოფები, ან ზარბაზნები, გვეყოფა მეომართა რიცხვი, თუ არაო. მკითხველებს ეხსომებათ, რომ პირველად ამ საგნებზედ დაიწყო ლაპარაკი რანდოლფ ჩერჩილმა, წელიწადნახევრის წინად. იმის შემდეგ თითქმის ამავე საგანზე დიდი წიგნი დაბეჭდა სერ ჩარლზ დილკმა, რომელსაც ჩვენი მკითხველები უნდა იცნობდნენ. დღეს კიდევ ინგლისის გაზე-

---

ჯოხზედ გაკეთებული გამხდარი, უფერული, მაგრამ ფერ-უმარილით შეგლესილი პირი-სახე და თავი, გრძელი, მაგრამ ულაზათო კისერი. მხოლოდ თვალები-ღა შერჩენოდა ამ მართლაცა-და ლანდს, როგორც «ნაშთი ძველის დიდებისა», მაგრამ ეს თვალებიც, ძველებურ ცეცხლის ფრქვევის მაგიერ, ეხლა ჩასცვივნოდა, ამოღილავებოდა და მხოლოდ კაკლები-ღა გამობჟუტავდა, ისიც ურცხვად, მაცდურად. ვინ მოიფიქრებდა, რომ ის მშვენიერი ეკა ასე გახდებოდა, რომ რამდენიმე წელიწადი ასე გამოსცვლიდა? ყველანი პირჯვარს იწერდნენ ეკას დანახვაზედ და მართლაც პირჯვრის დასაწერი იყო იმისი საქმე.

ეკა დადგა თავის დასთან სასენაკოში, მაგრამ, როგორც მთელი სოფელი ამბობდა, ეკა არ იყო ღირსი არც თავის დასთან დგომისა და არც ეკკლესიის ეზოში ცხოვრებისა, არ იყო ღირსი თავისის უწმინდურის ფეხებით ეთელა პატიოსანთა მკვდართა საფლავები. „ეშმაკის კერძია და საყდრის ეზოში რა უნდაო?"—ამბობდნენ სოფლის დედაკაცები. ნეტა რას ამბობდნენ მაშინ ბატონები? პირით ისინიც იმას ამბობდნენ, რასაც სხვები, და გულში-კი, შეიძლება, სხვა ცეცხლიც უტრიალებდათ.

უბედური ეკა! რა საშინელი სანახავი იყო ის, როდესაც იმას აჩვენეს საფლავენი თავისის მამისა და მუნჯიასი, რომელნიც იმის გამო ერთს დღეს დაიხოცნენ. ეკა სრულიად გაშრა ყველას თვალ-წინ, გახმა, გაყვითლდა, სახის კანი დაემანჭა, მაგრამ ცრემლი-კი არ გადმოუგდია. ან-კი სადღა შერჩებოდა ცრემლი? მერე ეკას სულაც აღარ გაუვლია იქითკენ, სადაც იმისნი მსხვერპლნი ემარხნენ. არც გარედ გამოდიოდა ხშირად. ეტყობოდა, რომ ეკას ყველასი სცხვენოდა, ყველაფრისა ეშინოდა და ერიდებოდა. სულ მუდამ პატარა ფაცხაში იყო, რომელიც სამზარეულოდ ჰქონდა იმის დას. თვითონ სასენაკოში ვერ დადგებოდა, რადგან იქ იმდენი ხატები ესვენა და იმას-კი ხატის ცქერა არ შეეძლო. უნდა გენახათ, როგორ წვალობდა ეკა, როდესაც გაიგონებდა თავის დის ლოცვას და ეს-კი დღე და ღამეში ხუთჯერაც ლოცულობდა, მერე ყოველთვის ხმა-მაღლა.

არა, ეკას არ შეუძლიან ამ ნაირად ყოფნა! მაშ რა ჰქნას? სად წავიდეს? ვის მიადგეს კარს, ვინ მიიღებს იმას თავის სახლში? აქ არავინ. მაშ ისევ იქ, იქ, ქუთაისში; იქ არის ამისი ადგილი! ეხლაც რისთვის მოვიდა სოფელში! რა უნდოდა აქ! ნუ თუ იფიქრა, რომ შეეძლო გამობრუნება, შეეძლო იქ სხვასავით ცხოვრება? არა, ის დაკარგულია სოფლისათვის. ის იქ უნდა იქმნას, თუ უნდა სიცოცხლე, და რომ იმას სიცოცხლე უნდა, ეს ცხადია, თორემ აქამდისაც მოიკლავდა თავსა. დიაღ, ის დაღუპულია; იმან ბოლომდის უნდა გამოსცალოს ის ფიალა, რომელიც ძალათი მიაჩეჩეს ხელში.

—

გავიდა რამდენიმე კვირა და ერთს საღამოს ჩვენს სოფელში ერთი ეტლი შემოიჩიხინდა. შიგ ერთი შუა ხნის დედაკაცი იჯდა და ქალებს, რომელნიც გზაზედ შეჰხვდნენ, ეკა ჰკითხა. ქალებმა უთხრეს, სადაც იყო ეკა. ეკას ამ ქალის ნახვა საშინლად იამა, რადგანაც იმის წასაყვანად მოსულიყო, და ეკასაც ხომ წასვლა უნდოდა აქედამ. მეორე დილას, ძალიან ადრე, ეტლი წავიდა და ეკაც თან გაჰყვა. არავინ არ უნახავს წასვლისას, არავის არ გამოსთხოვებია და ძალიან მხიარულიც იყო თურმე, როცა მიდიოდა.

ვინ იყო ის დედაკაცი, სად წავიდა ეკა, არავინ არ იცოდა. მხოლოდ ეკას დამა სთქვა, რომ ის დედაკაცი ეკას დედობილი იყო, ქუთათური და ეკაც ქუთაისში წაიყვანაო. აშკარა იყო, რომ ნახევარი მაინც ამ სიტყვებში ტყუილი იქნებოდა. ყველა მიხვდა, რაც დედობილი იყო ის ქალი და რისთვისაც წაიყვანა ეკა ქუთაისში?

— ეხლა მაინც რაღა მაარბენინებდა, არ ეყო, რაც ეთრიაო?—ამბობდნენ სოფლის ქალები:—დარჩებოდა და ძველს ცოდვებს მოინანიებდა, ახალში რაღ ვარდები კიდევაო?! საკვირველია, ჯერ იძახდნენ, ეკკლესიის ეზოში ნუაო, და ეხლა ამბობენ, დარჩენილიყოო. სად დარჩენილიყო? თუ ეკკლესიის ეზოში არ ვარგოდა იმისი ყოფნა, სხვაგან სულ არ ივარგებდა.

VII

გავიდა ამას შემდეგ შვიდ-რვა წელიწადი; ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ცვლილება მოხდა ჩვენს სოფელში. ბევრი გაკეთდა, გაბედნიერდა, ბევრი გაუბედურდა, ბევრი მდიდარი გაღარიბდა, ბევრი გლახაკი გამდიდრდა; ბევრი ახალი მოვიდა ქვეყანაზედ, ბევრი ძველი გაჰქრა; ბევრი ადამიანიშვილი დაიბადა, ბევრი მოკვდა. ერთის სიტყვით, თუმცა ცხოვრება წაღმა-უკუღმა ტრიალებდა, მაგრამ ცხოვრების სასწორი ყოველთვის დანიშნულს მიმართულებას იღებდა. ძნელად მოხდებოდა, რომ სასწორი უსწოროდ ყოფილიყო. თუ რომელიმე მხარე დასძლევდა, რაღაც უხილავი ძალა მაშინვე გაასწორებდა. შეიძლება ამ სასწორის გასწორებისათვის ბევრი უსამართლოდ დასჯილიყოს, ბევრი უღირსად ამაღლებულიყოს, მაგრამ ბუნების კანონი ამას მოითხოვდა. ალბად ამ სასწორის გასწორებისათვის მოხდა, რომ ეკას მამის, თუმცა ღარიბი, მაგრამ ბედნიერი ოჯახი გაუბედურდა და დაირღვა. ალბად ამისივე ბრალი იყო, რომ ეკა ანგელოზისგან მაცდურ სატანად გადიქცა, მუნჯია საცოდავად მოკვდა. მაგრამ ეგ, რის სასწორი, რა სასწორი? რის ბუნების კანონი, რა ბუნების კანონი? მოუნდა ივანე პეტრეს ძეს თავის სურვილის დაკმაყოფილება და დაიკმაყოფილა კიდეც. ის რას დაეძებს ან მუნჯიას, ან ეკას, ან იმის ოჯახს? რას დაეძებს სინიდისსა და პატიოსნებას? იმას ჰგონია, რომ ყველაფერი ჩემთვის არის გაჩენილი და რასაც საკბილოს ჰნახავს, არ ერიდება. აბა გააგებინეთ ივანე პეტრეს ძეს, რომ კაცობრიობა ერთი სხეულია, რომ ამ სხეულში ყოველმა ასომ უნდა იზრუნოს მთელის კაცობრიობისათვის და მთელმა კაცობრიობამ თვითოეულის კაცისათვის; რომ მთელი ბუნება კაცობრიობისათვის არის გაჩენილი, მაგრამ ერთი კაცი-კი მეორისათვის არა; რომ ყველანი სწორნი არიან, და მაშინ ჰნახავთ, თუ კიდევ ჩაიდენს ამ გვარს საქმეს? მანამდის-კი, სანამ ივანე პე-

თებს ამაზედ აქვსთ გაბმული გაუთავებელი ლაპარაკი და ამ ლაპარაკით დიდად აღელვებენ ალბიონის მკვიდრთა. „Daily Telegraph“-ი ამბობს, რომ, როგორც დაგვარწმუნა დიდმა მცოდნემ სამხედრო საქმეებისამაო, ჩვენი ჯარი და მხედრობა დიდად მცირეა და ეს მხედრობა ვერ დაიცავს ქვეყანას. მომეტებული ნაწილი ჩვენის ზარბაზნებისა ისეთი უხეირო და უვარგისია, რომ მთელს ევროპაში ამათზე უარესს ვედარ იპოვით. მართალია, ჩვენ გვაქვს ფრიად კარგის ნიმუშისა და ყალიბის ზარბაზნები, მაგრამ იმათი მომზადება საასწრაფოდ, და ისიც ბლომად, ძალიან ძნელია. ჩვენ გვაქვს კარგი ჯურის თოფი, მსწრაფლ-მსროლი, მაგრამ არც ერთს პოლკს-კი არა აქვს ეს თოფები დარიგებული. ჩვენი ფლოტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიცავს ინგლისს, თუ ღვთის ანაბრობაზე მიატოვებს ზოგიერთს ჩვენს ახალ-შენებს, კოლონიებს... აი ამ წერილმა ასტეხა აღიაქოთი ლორდთა პალატაში. ეს გაზეთი რომ ბრძანებს, დიდი მცოდნე სამხედრო საქმეებისა ამას ამბობსო, სთქვა თურმე ერთმა ამ პალატაში, ხომ ვიცით, ვინც არის დიდი მცოდნე? ეს დიდი მცოდნე გახლავთ ჰერცოგი კემბრიჯისა, სპასალარი და ინგლისის მხედართ-მთავარი. და აბა მაშ გვიპასუხოს ჰერცოგმა, მართალია თუ არა, რასაც ზემოხსენებული გაზეთი ამყარებსო. ამაზე ჰერცოგმა კემბრიჯისამ სთქვა, რომ, ვგონებ, მე უფრო გავკვირდი, ვიდრე სხვა ვინმე, როცა ეგ ახირებული წერილი წავიკითხეო. მთავრობა დიდად ზრუნავს მაგ საგანზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, მაგ საქმეში კმაყოფილი დარჩება ყველა, ვისთვისაც-კი ძვირფასია ინტერესები ჩვენის სამშობლოსიო. სალისბერის დიდად ესიამოვნა ეს ამბავი. მაშ სჩანს ის დიდი მცოდნე, რომელსაც იხსენიებს „Daily Telegraph“-ი, ჰერცოგი არა ყოფილაო. რაკი ეს გაიგო სალისბერიმ, სთქვა შემდეგი: „მე ბედნიერი ვარო, რომ ის „დიდი მცოდნე“ კემბრიჯის ჰერცოგი არ აღმოჩნდა და იმის მაგიერ სხვა ვინმე უნდა იყოს, იმაზე ნაკლებ მცოდნე ჩვენის სამხედრო საქმეებისა. ტყუილად ჰფიქრობენ ზოგიერთნი, რომ ვითომ მთავრობა არ აქცევს ყურადღებას იმას, რაზედაც არა ლაპარაკობს საჯაროდ. ეგ საგნები მუდამ დიდს ზრუნვას იწვევს მთავრობის მხრივ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნება იმათი ისეთია, რომ მეტად ფრთხილად უნდა მოეცეს კაცი იმათ გასჯას. ეს პალატა რომ საიდუმლო კომისია იყოს, მე, რასაკვირველია, არ გამიძნელდებოდა მეთქვა ყოველივე, რაც ვიცი ზემოხსენებულს საგნებზე, მეთქვა, რას ჰფიქრობს მთავრობა, როგორ ჰზრუნავს, მაგრამ ჩვენ ეხლა საიდუმლო კომიტეტში არა ვართ და წევრნი პალატისანი დამეთანხმებიან, რომ უგუნურება იქმნებოდა საქვეყნოდ გამოგვეცხადებინა, რასა ვფიქრობთ, რა ძალა გვაქვს, რა ნაკლულევანება გვჭირს, რა ღონის-ძიებას ვხმარობთ და რასა ვზრუნავთ. მეტის-მეტი იქნებოდა, რომ ყოველივე ეგე საქვეყნოდ გამოგვეცხადებინა და გამოგვემჟღავნებინა. ოთხის წლის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა ერთი-ორად იმატა: გვყავდა 1884 წელს 181,871 კაცი, ეხლა გვყავს 212,241. ფლოტზე ვხარჯავდით ოთხის წლის წინად 40 მილიონ ნახევარს მანათს, ეხლა ვხარჯავთ 60 მილიონ ნახევარს. ყოველივე ეს ნუ თუ არ ამტკიცებს, რომ ჩვენ გულ-გრილად არ ვეპყრობით ჩვენის ქვეყნის ინტერესებს?

◆◆

წვრილი ამბები

საკვირველი ოპერაცია გაუკეთებიათ ვენაში. ვენის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის პროფესორს ფლეიშლს ამ რამდენისამე წლის წინად ერთი გარდაცვალებულის გვამი გაუჭრია, თავისი ტანი სადღაც გაუკაწრავს და მოწამლულა მკვდრის სისხლით. თუმცა ამ სენით არ გარდაცვლილა, მაინც ყოველთვის ნერვოზულს ტკივილსა ჰგრძნობდა თურმე, ალაგ-ალაგ ნერვოზული სიმსივნე გამოაჩნდებოდა ხოლმე. პროფესორს ბილროტს არა ერთხელ მოუჭრია ეს სიმსივნეები, მაგრამ მაინც ტკივილი თავს არ ანებებდა თურმე სნეულს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბილროტმა გარდასწყვიტა — სიმსივნეს მოჭრა არაფერსა შველით და ტყუილად აღარ გაწვალებთ, აღარ მოგჭრითო. ამ დროს გამოჩენილის ჯარა-ექიმის თანაშემწეს, დ—რს გერშუნის, პროფესორის ყურადღება მიუქცევია იმ ამბისათვის, რომ ერთხელ თეთრს კურდღელს ნერვი ამოსჭრეს და გაუკეთეს ავადმყოფს კაცს, იმ ნერვის მაგიერ, რომელსაც იტკივებდაო. პროფესორმა ბილროტმა სთხოვა სნეულს, რომ თუ დამთანხმდებით, ვეცდები ამ გვარისავე საშუალებით გიწამლოთო; პროფესორს ფლეიშლს, თავის მხრივ, თანხმობა გამოუცხადებია. დ—რს გერშუნის ჯერ სიმსივნე მოუჭრია ავადმყოფისთვის, მერე სნეული ნერვი უპოვნია, ამოუჭრია, იმის ადგილას იმისთანავე თეთრის კურდღლის ნერვი ჩაუკერებია და ეხლა პროფესორს ფლეიშლს უკეთესობა ეტყობა თურმე.

— საინტერესო თხზულება გამოუქვეყნებია ამას წინად ინგლისელს მკურნალს კნედფს იმის შესახებ, თუ როგორა ჰმოქმედებს გოგირდი ყელის ჭირვებაზედ, ხუნაგზედ. ავადმყოფს ცოტა გოგირდი უნდა შეაყარონ იმ ადგილას, სადაც ხუნაგი აქვს, ან ყელის გამოვლება, გამორეცხა საჭირო გოგირდ-ნარევის წყლით და ან მოკოლადში შერეულ გოგირდის ჭამა. თუ რამდენად კარგია ეს წამალი, სჩანს იქიდგან, რომ მკურნალს კნედფს თავისი სამოც-და-თხუთმეტი ავადმყოფი ხუნაგით სულ გოგირდის საშუალებით მოურჩენია, სხვა არავითარიმე წამალი არ უხმარია. მით უფრო უნდა მიექცეს ამ ახალს წამალს ხუნაგისას ყურადღება, რომ ამ ავადმყოფობის გამო ხშირად დიდ-ძალი ხალხი იხოცება, ამას გარდა მეტად იაფად საშოვნელია და ადვილად სახმარებელი.

— ამას წინად ვენის საბაღოსნო საზოგადოებას გამოფენა ჰქონდა ყვავილებისა. ამ გამოფენაზედ იყო თურმე ერთი საკვირველი და საოცარი მცენარე — ბარომეტრი, რომელიც ჰაერისა და ამინდის ცვლილებას საკვირველის სისწორით აცნობებს ადამიანს ორის დღით ადრე. ეს მცენარე პატრონმა შუშაბანდში უნდა შეინახოს, სადაც სითბო წესიერი ჰქონდეს, თორემ ადვილადა ფუჭდება. ამ მცენარეს პატრონს, ბ-ნს ნოვაკს, უთქვამს, რომ იმის მიხედვით, თუ როგორა აქვს ფურცლები დაწყობილი ამ მცენარეს, შეიძლება გავიგოთ ის, თუ ორის დღის შემდეგ მზე და მთვარე გამოვა, თუ არა, წვიმა თუ მოვა, სიცივე თუ იქნება, ელვა-ჭექა და მიწის-ძვრაცკიო. ძველს, ორის წლის ფურცლებზე შეიძლება ორის დღით ადრე შევიტყოთ, როგორი ამინდიც იქნება ოთხის ვერსის მანძილზედ, ხოლო ახლად გამოტანილი ფურცლები-კი საზოგადოდ ჰაერის ცვლილებას გვატყობინებს ორმოცის ვერსის სივრცეზედაო.

— აი „Gaulois“-ი რას ამბობს საფრანგეთის ოთხს ჯარის-კაცზე, რომელნიც გერმანელებს წაუყვანიათ ტყვედ 1870 წ. და მხოლოდ ეხლა, გერმანიის ახალის იმპერატორის მანიფესტის შემდეგ, დაბრუნებულან სამშობლოში. 18 წლის განმავლობაში ამ ჯარის-კაცთა ნათესავებს არა სცოდნიათ-რა იმათი და დაღუპულები ჰგონებიათ. ერთს ჯარის-კაცს, როცა დაბრუნებულა, თავის ცოლი გათხოვილი დახვედრია; მეორეს კიდევ წასვლისას ფეხ-მძიმე ცოლი დაუტოვებია და ეხლა რომ მოსულა, თვრამეტის წლის დაცოლიანებული შვილი მიჰგებებია.

◆◆

გასართობი

გვიხარებია! აქამდე ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ კორსეტები ძალიან მავნებელია ადამიანიშვილის აგებულებისათვისაო, ქალებს ასნეულებს და ამიტომ ყოველივე ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მოვსპოთო, ხოლო ეხლა კორსეტებს მომხრე გამოსჩენია. 30 აპრილს პეტერბურგში, საერო ჯანმრთელობის საზოგადოებაში, ექიმს ვირენიუსს გამოუცხადებია, რომ კორსეტი, არამც თუ მავნებელი, ძალიან მარგებელიაო; ექიმს უთქვამს, რომ საფრანგეთში ყმაწვილებს პაწიაობითვე კორსეტებს აცმევენ, ხოლო-კი არა სნეულდებიან, დიდხანსა სცოცხლობენ და მშვენიერი აგებულებაცა აქვსთო. საქმე იმაში გახლავსთ, რამდენად მეცნიერულადა აქვს გამოკვლეული ექიმს ვირენიუსს თავისი მოსაზრება კორსეტების მარგებლობის შესახებ. ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ქალები ძალიან მადლობელნი იქმნებიან ამ ექიმისა, რადგან მფარველობა გაუწია კორსეტსა. ეს-ღა აკლდათ ჩვენს ქალებს, ეხლა ერთის მაგიერ ორ-ორ კორსეტებს გაიკეთებენ. უფრო სასაცილოა თურმე ამავე ექიმის მოსაზრება საყმაწვილო თამაშობისა და შექცევის შესახებ. ექიმს უთქვამს, რომ თოკებზე ხტომა, ფერხული, კეკე-მალულობა და სხვანი ძალიან მავნებელია ყმაწვილებისათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, რადგან ადრე ულვიძებს არა ყმაწვილურს გნებათა და გრძნობათაო. დღეიდგან, მაშასადამე, საჭიროა, რომ პაწია ქალები კორსეტებში ამოვარჩით და თოკებზედ ხტომის ნება-კი არ მივცეთ!

**

ბულანჟე ცუდს საქმესა სჩადის, ის ეშმაკმა იცის, რასა ნდომულობს, და იმის გამო-კი სხვები ჭკუიდგან იშლებიან. ამას წინად გვქონდა მოყვანილი, რომ ერთი დედაკაცი ყველას ეხვეწებოდა, ბულანჟესათვის ილოცეთ და ღმერთს შეავედრეთო. აი ერთი კიდევ ამისთანა მაგალითი. ამ რამდენისამე დღის წინად პარიჟში, „Flandre“-ს ქუჩაზედ, ერთის სახლის წინ ვიღასაც დაუწყია კარების რახუნი. მეკარე დედაკაცს გაუღია და რა უნახავს: იმის წინა მდგარა ვიღაც მშვენივრად ჩაცმული კაცი უხმოდ, უსიტყვოდ. დაუნახავს თუ არა ამ კაცს ეს დედაკაცი, მოჰხვევია და დაუძახნია:

— ოჰ, ვალერია, ჩემო საყვარელო ვალერია! მალე მოდი, მომეხვიე!

ვალერიას ეს ხვევნა არ მოსწონებია, რადგან იმ კაცს სულ არ იცნობდა თურმე, და დაუწყია ყვირილი, რომ მიშველეთო. მოვარდნილან პოლიციელნი, გაუნთავისუფლებიათ მეკარე დედაკაცი გაკვირვებულ უცხო კაცის ხვევნისა და კოცნისაგან. როცა ამ კაცისათვის უკითხავთ, რა გნებავთო, გამოუცხადებია:

— მე იმპერატორის ბულანჟეს მინისტრი გახლავართ და ეს ქალი ჩემი სატრფოა. ამას წინად დრო დამინიშნა — მოდი მნახეო, და მეც მოვედი.

საბრალო „მინისტრი“, რა თქმა უნდა, მაშინვე სულით ავადმყოფთა სამკურნალოში გაუგზავნიათ.

◆

დეპეშა

10 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესდება ტყეების დაცვისა და დაზოგვის შესახებ. წესდება ეხება სახელმწიფო, სამეფო გვარეულობისა, სხვა-და-სხვა

ტრეს ძეები ამას არ გაიგებენ, კაცობრიობა ვერ ეღირსება ბედნიერებას, ყოველთვის იქნებიან ეკასთანა მსხვერპლნი.

—

ერთს დილაზე, როდესაც ჩვენს ეკკლესიაში მონოზნად მყოფი ეკას და გარედ გამოვიდა, შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ. იქ, სადაც საცოდავი მუნჯია იყო დასაფლავებული, ერთი კაცის შემაძრწუნებელი გლახა იწვა და ეძინა. თავით ედვა უბედურს ძველი ტომარა, რომელშიაც ძველი ჰინკები და ნაჭრები უნდა ყოფილიყო. თუ არ ამ გლახას გრძელი, ბინძური თმა, ადამიანი ვერ მიხვდებოდა, ვინ იყო, კაცი თუ ქალი, რადგან ტანისამოსი სრულიად არ ეცვა. ამ საცოდავს გლახას ტანს ძლივს უფარავდა ძველი საძაგელი საცვალი და დახეული ფარაჯა, რომელშიაც გამოხვეულიყო და თავიც-კი შიგ ჩაემალა. მხოლოდ ტიტველა ფეხები-ღა უჩანდა უბედურს და ისინიც ისე იყო სისხლ-შემომხმარნი, რომ გეგონებოდათ ძველი, დახეული წუღები აცვიაო. დიდხანს ადგა ამ გლახას მონოზანი გაშტერებული და არ იცოდა, რა ექნა? ბოლოს გლახა გაინძრა და ცალი ხელი გამოჰყო. ამ ხელის დანახვამ სულ გადარია მონოზანი, რადგან ხელის მაგიერ რაღაც ერთი მეორეზედ შეწყობილი ძვლები იხილა. აი, კიდევ გაინძრა ის და ეხლა-კი თავიც გამოაჩინა. მაგრამ სადღა იყო თავი? თავის მაგიერ იყო მხოლოდ ორი თვალი, დაკრეჭილი კბილები და ნიკაპი. პირისა და ცხვირის მაგიერ-კი რაღაც უშველებელი ორმო იყო, საიდამაც შესაზარი სუნი ამოდიოდა. მონოზანმა მეტი ვეღარ შესძლო და მიიბრუნა პირი. ამ დროს გლახამ გაახილა თავისი უზარმაზარი თვალები და დაინახა თუ არა, რომ იმასთან ვიღაცაა, შემოიხვია ფარაჯის კალთა თავზედ, თითქოს შერცხვაო. მონოზანმა მიიბრუნა, როგორც იქნა, ისევ პირი და ჰკითხა, ვინა ხარო?

— ქრისტიანი ვარ, ვკვდები! მოისმა საიდამღაც, თითქოს საფლავში მყოფი მკვდარი ამოიძახისო. მონოზანმა გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე წავიდა მღვდელთან, რადგან შეეშინდა, ქრისტიანის სული უზიარებლად არ მოკვდესო. ჩვენი სოფლის მოხუცებული მღვდელი იქ ახლოს იდგა და მაშინვე წამოვიდა. სანამ მღვდელი მოვიდოდა, გლახას სულთა-ბრძოლის ჟამი მოუახლოვდა, სიკვდილი ახლო იყო. მოვიდა მღვდელი და დაუწყო წმიდა საიდუმლოს მზადება. გლახამ შეხედა მღვდელს, დაინახა რასაც აკეთებდა, და წამოჯდა, მაგრამ ფარაჯა-კი არ მოუხსნია თავიდამ. მღვდელმა დაიკავა კოვზი ხელში და აღსარება უნდოდა ეთქმევინებინა. მონოზანი მიშორდა

— ვინა ხარ, შვილო? — ჰკითხა მღვდელმა.

— ეკა ვარ, აქაური ეკა, — ამოიძახა გლახამ. მღვდელი შეკრთა და კინაღამ დააქცია წმიდა საიდუმლო, ისეთ ნაირად დაუწყო ხელმა კანკალი. მღვდელი თავის თვალებს არ უჯერებდა, რომ იმის წინ ეხლა ის ეკა იყო, რომელსაც წინად იცნობდა.

— რამ მიგიყვანა მერე, შვილო, მაგ ზომამდის?

— ჩემმა თავმა და სხვებმაც ბევრმა. ღმერთმა მოჰკითხოს ყველას, ვინც ჩემს ამისთანა ყოფაში დანაშაული იყოს! ღმერ...

— კარგია, შვილო; ეხლა კიდევ ნუ სცოდავ ღმერთს! ეხლა დრო არ არის ილაპარაკო იმაზედ, ვისი ბრალიც არის შენი მაგ ნაირი ყოფა. მოიგონე, შვილო, ადამი და ევა, რომელნიც სცდილობდნენ სხვისთვის გადაებრალებინათ თავიანთი ცოდვები და ღმერთმა უმეტესად დასაჯა. მაშ ჩამოთვალე შენი ცოდვები და ორივემ ვსთხოვოთ ღმერთს, გაპატიოს.

— არ შემიძლიან, ვერ ჩამოვსთვლი ჩემს ცოდვებს! არ მახსოვს და კიდეც რომ მახსოვდეს, ვეღარ მოვასწრებ; ვგრძნობ, ეხლავე უნდა მოვკვდე.

— რამდენი ხანია, შვილო, ზიარება არ მიგიღია?

— ათი წელიწადია და, მგონი, კიდევ მეტიც.

— არაფერია, შვილო, სასოებას ნუ წარიკვეთ, ღმერთი ყოვლად მოწყალეა. შვილი ხომ არა გყოლია, შვილო?

ამ კითხვაზედ საცოდავს თრთოლა დააწყებინა.

— სთქვი, შვილო, თუ გყავდა, სად არის?

— მო... მომა... კვლევი... ნეს! მოისმა ძლივს.

— შენ თითონ მოჰკალი?

— იძუ...ლებული ვიყავი... ნუ მკითხავ, ნუ!.. და გააქნია უბედურმა ხელი.

— მეტი ხომ არავინ მოგიკლავს?

— კი... არა, არა, მე არავინ არ მომიკლავს, სხვებმა მოჰკლეს, სხვებმა...მე...მე კაცის-მკვლელი?.. არა, არა...

— დამშვიდდი, შვილო, დამშვიდდი და მოიგონე, რაც წელან გითხარი. ეხლა უკანასკნელი დროა, დაივიწყე ყველა, ვისაც რამ ბოროტი შეუმთხვევია შენთვის, მიუტევე ყველას და ღმერთსა სთხოვე, შენც შენი ცოდვები მოგიტევოს. ეხლა დრო-არის გაუტყდე ღმერთს იმაში, რაშიაც დანაშაული ხარ.

— მე ისეთივე დანაშაული ვარ, როგორ'იც დანაშაულია დანა, რომლითაც ერთი კაცი მეორესა ჰკლავს... მე არაფერში არა ვარ დანაშაული... მე ვიყავი სუსტი არსება და ძლიერებმა ძალით წამართვეს ის, რის დაცვაც არ შემეძლო. მე მშიოდა, მწყუროდა, მციოდა, კაცი პატრონი არ იყო ჩემთვის და იძულებული ვიყავი მეცხოვრა იმით, რაც მქონდა. მე მქონდა ერთი ჩემი თავი და მეც დავიწყე იმით ვაჭრობა. მე მითხრეს — შვილო ნუ გეშინის, გადაგვეგდე, და მეც გადავეგდე. ოჰ!..მე!... და ხმა ჩაუწყდა უბედურს...

— ილოცე, შვილო, ილოცე! ეუბნებოდა მღვდელი, მაგრამ იმას ლოცვა აღარ შეეძლო. წაიქცა პირ-ქვე და უკანასკნელად ებრძოდა სიცოცხლეს. მღვდელმა დაინახა იმისი საბრალო სახე და არ იცოდა, მიეცა თუ არა წმიდა საიდუმლო. მღვდელი რომ ფიქრში წავიდა, ეკა უკანასკნელად გაჰქრქოლდა და განუტევა სული.

დუტუ მეგრელი

უწყების და კერძო მამულეთა ტყეებს, უნდა შემოიღონ ისეთი ღონის-ძიება, რომელსაც შეუძლიან ტყე დაიცვას ოხრებისაგან და ხელი შეუწყოს რიგიანად ტყის საქმის წარმოებას. ის ტყეები, რომელთა დაცვა და დაზოგვა აუცილებლად სასარგებლოა სახელმწიფო, თუ საზოგადო საჭიროებისათვის, განსაკუთრებულ კანონს უნდა ექვემდებარებოდეს. ის ტყე და ბუჩქნარი, რომელიც ქვიშასა და სილას გზას არ აძლევს და ჰფარავს ქალაქებს, სოფლებს, გზებს, მდინარის ნაპირებს და მიწასა და კლდეებს ამაგრებს, უსათუოდ დაცული უნდა იყოს. აღკრძალულია ხეების ძირიანად მოთხრა და საქონლის საძოვრად შეყვანა ტყეში, თუ ეს მავნე იქნება. თუ ვინიცობაა ტყის პატრონები საჭირო ხარჯს არ გასწევენ ტყის დასაზოგავად, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფლება ექმნება შეისყიდოს იმათი ტყე იმ წესით, რომელიც დღეს არსებობს კერძო მამულების შესასყიდად, იმ პირობით-კი, რომ ათის წლის განმავლობაში შეისყიდონ და დააბრუნონ თავიანთი ტყე. ის ტყე, რომელიც ზემოხსენებულს რიგს არ ეკუთვნის, შესაძლოა ამოსჩეხონ, თუ ეს საჭირო იქმნება ვენახის, ან ხეხილის გაშენებისათვის, იმ პირობით-კი, რომ მეპატრონეებმა ხელოვნურად გააშენონ, რათა შეავსონ დანაკლისი, გააკეთონ გზები და გამართონ სხვა-და სხვა შენობა. აგრეთვე შეიძლება ტყე ამოსჩეხონ, თუ ეს საჭიროა მემამულეთა გაყრის დროს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ სხვაგან გააშენონ ხე-ტყე. აღკრძალულია ტყის უთავ-ბოლოდ ჩეხვა და საქონლის საძოვრად შეყვანა ისეთს ტყეში, რომელიც თხუთმეტის წლისა არ არის. პირველის რიგის ტყე და ხელოვნურად გაშენებულიც განთავისუფლებულია სახელმწიფო და სათემო ხარჯისაგან ოც-და-ათის წლის განმავლობაში.

11 მაისი

პეტერბურგი. „Русскій Инвалидъ“-ში დაბეჭდილია კასპიის იქითა მხარის დროებით მხედართ უფროსის შემდეგი დეპეშა: სოლარები, რომლებიც სცხოვრებენ მეიმენინის მაზრაში დიდი ხანია რაც ჩვენ გვთხოვდნენ ნება მიგვეცა სერახში გარდასახლებულიყვნენ. რადგანაც ამ თხოვნაზე პასუხი არ მიუღიათ და ავღანისტანის მთავრობაც ძალიან აწუხებდა სოლარებმა, რიცხვით 168 სულმა 240 თავის საქონლითურთ, გადასწყვიტეს შემოსულიყვნენ ჩვენს საზღვრებში. ეს მოხდა ღამით, თოთხმეტსა და თხუთმეტს აპრილს შუა. როდესაც სოლარები შემოვიდნენ ჩვენს საზღვარში, ხაზარაკუას ქების მახლობლად, ას ორმოცდა-ათ ვერსზე. ტახტა-ბაზრიდგან, იმათ დაეწივნენ ჩვენს მიწაზე ორასიოდე ავღანელი მხედარი საზღვრიდგან მე-36 ვერსზე ავღანელებმა და იწყეს თოფითსროლა, სოლარებმაც ამითვე უპასუხეს დილას ავღანისტანის რაზმმა უკან დაიხია და თან წაიღო მკვდრები და დაჭრილები. მოკლულია ორი სოლარი და ხუთი დაჭრილია. შემდეგ სოლარები წავიდნენ ტახტი-ბაზრისაკენ, საცა მათთან ერთად მივიდა ალიხანოვიც, რომელმაც გაგზავნა სოლარები სერახსში.

პეტერბურგში მოვიდა დოქტორი ქეინი, რედაქტორი „პარლამენტიორისა“, სლავიანთა ჟურნალისა. ქეინი ცნობილია თავისის პროცესით, ავსტრიაში

ბერლინი. დღეს აქ მოვიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ იმპერატორის მეორე შვილის ჰენრიხისა, და ჰესენის პრინცესა ირინეს ქორწინებაზე დასასწრებლად. პრინცესა ირინა და ამისის უმაღლესობისა ელისაბედ თეოდორის ასულისა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი

	მყიდველნი.		გამყიდველნი.		გაყიდულნი.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	„	—	„	9	57
ტამოჟნის კუპონები . .	—	„	—	„	191½	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	40
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	273¼	
—მეორისა	—	„	—	„	244¾	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	98½		—	„
ქუთაისის ბანკისა . . .	—	„	98½		—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ(1888)წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მაისი 31 დღით არის.

12 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპიფანესი კათოლ. პანკრატისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—21. მთვარე 14 დღისაა.

◆

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3 ›
„ 2 „	2½ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2—	3½ „
„ „ 3 „	3
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 „
მე-2 ხარისხისა . .	4 „
მე-3 — . . .	„ „
ძროხის ხორცი . . .	9 „
„ 2 „	8 „
სუკი	16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	10 „
ღორის ხორცი . . .	„ „
„ 2 „	„ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და **სამშაბათს** ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პ. **რასკევობით** მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, №101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათი.	წამი.	საათი.	წამი.		საათი.	წამი.	საათი.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა . .	9	9	9	11	ქობულეთი.	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები. .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	03	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი. .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	08	12	11	**სამტრედია**.	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი.	12	13	12	16
ხაშური . .	11	02	1	17	**რიონი**. . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი. . .	2	—	2	03	ყვირილა . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელოგორი .	3	17	3	20
ბელოგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	ბეჟათუბანი.	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი . .	6	29	6	44	**ხაშური** . .	6	17	6	32
კოპიტნარი.	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	05	8	07	**გორი** . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი. . .	9	7	9	9
ნატანები. .	9	52	9	55	მცხეთა . .	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	ტფილისი .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	**ხაშური** . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	**გორი** . . .	5	4	5	19
გრაკალი. .	6	—	6	3	გრაკალი. .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა. . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	54	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

განცხადებანი

12 მაისს, ხუთშაბათს, საღამოს 7½ საათზედ, მოხდება მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრისა, ბ-ნის სტრუევესი, ღვინის მოწამლვასა და სხვა-და-სხვა წამლებით შეღებვაზედ;

3) მოხსენება ნამდვილის წევრისა ბ-ნის ენფიანჯიანცისა, თამბაქოს თესვასა და მოყვანაზედ.

კრებაზედ შეუძლიანთ დაესწრნენ არა-წევრთაც.

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის სპიჩკისა

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაუთმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში

(50—43)

სომხეთ-სასულიერო ნერსესიან ს

მინარიის სამზრუნველოს

საბჭოში

25 მაისს, საღამოს 8 საათზედ, და ნიშნულია ვაჭრობა (განუმეორებლად), რათა იჯარით იქმნას გაცემული მამული, რომელიც შემოსწირა სემინარიას აეტიქ პიროიანცმა და რომელიც იმყოფება იარმუკაზედ, №№ 6 და 11. იჯარის პირობა მსურველთ შეუძლიან შეიტყოს სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—2)

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროს გან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . .	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . .	,,	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	,,	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . .	3	,,
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . .	,,	20
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . .	,,	50
ჩატეხილი ხიდი, შენიშვნები „ოთარაანთ ქვრივზე“ . . .	,,	15

Доз. ценз. Тифлисъ, 11-го мая 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე